



საქართველოს სამართავორისო საარბიტრაჟო ცენტრი

## ანგარიში საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის დაფუძნების შესახებ

საქართველოს საერთაშორისო  
საარბიტრაჟო ცენტრი  
მის. დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი,  
0112, საქართველო  
ტელ: (+995 32) 269 88 00  
ელ. ფოსტა: info@giac.ge  
www. giac.ge

# ა ნ გ ა რ ი შ ი

<b>1. ზოგადი მიმოხილვა.....</b>	<b>1</b>
<b>2. პროექტი - საქართველოში საერთაშორისო (რეგიონალური) საარბიტრაჟო ინსტიტუტის ჩამოყალიბების შესახებ .....</b>	<b>4</b>
2.1. საარბიტრაჟო ცენტრის ფორმირებაზე მომუშავე ჯგუფი .....	4
2.2. სამუშაო ვიზიტი ნიდერლანდების სამეფოში .....	6
2.3. ექსპერტის ჩართვა პროექტში .....	6
2.4. თბილისის საერთაშორისო არბიტრაჟის კონფერენცია .....	7
2.5. საარბიტრაჟო წესების შემუშავებელი კომისიის ფორმირება.....	7
<b>3. საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის დაფუძნება .....</b>	<b>8</b>
3.1. სამართლებრივი ფორმა.....	8
3.2. სტრუქტურული მონაცემები .....	10
3.2.1. გამგეობა .....	12
3.2.2. საარბიტრაჟო საბჭო .....	12
3.2.3. სამდივნო .....	13
3.3. საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესები .....	14
3.3.1. საარბიტრაჟო წესების საბოლოო ვერსიის შემუშავებელი საერთაშორისო კომისია .....	14
3.3.2. საარბიტრაჟო წესებით დანერგილი სიახლეები .....	15
3.3.3. საარბიტრაჟო წესების მიხედვით საქმის განხილვის ეტაპები .....	17
<b>4. საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის უპირატესობები ..</b>	<b>19</b>
4.1. დავის განხილვის ხარჯების ეკონომიურობა .....	20
4.2. მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზე წამყვან საარბიტრაჟო ორგანიზაციებსა და სპეციალისტებთან .....	20

# 1. ზოგადი მიმოხილვა

არბიტრაჟის განვითარება აუცილებელია როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე კერძო სექტორისათვის. საქართველოში ინვესტიციების მოზიდვისა და ზოგადად, ბიზნესის გარემოს განვითარებისთვის ერთ-ერთ აუცილებელ ასპექტს წარმოადგენს ქვეყანაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საარბიტრაჟო ინსტიტუტების არსებობა, ასევე მოქნილი და არბიტრაჟისადმი მეგობრული კანონმდებლობა.

წლიდან წლამდე არბიტრაჟის საშუალებით საერთაშორისო დავების გადაწყვეტის რიცხვი მნიშვნელოვნად იმატებს. ფრაისუოთერჰაუზკუპერისა (PWC) და ქუინ მერის უნივერსიტეტის კვლევების მიხედვით, გამოკითხული საერთაშორისო კორპორაციების უმრავლესობა დავების გადაწყვეტის მექანიზმად, სწორედ, არბიტრაჟს ირჩევს.<sup>1</sup>

საქართველოს სახელმწიფო ორიენტირებულია არბიტრაჟის ინსტიტუტის განვითარების შემაფერხებელი საკანონმდებლო ბარიერების აღმოფხვრაზე. 2009 წლის 19 ივნისს მიღებულმა კანონმა „არბიტრაჟის შესახებ“, რომელიც დამყარებულია UNCITRAL-ის „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ მოდელურ კანონზე, ჩაანაცვლა 1997 წლის კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“. აღნიშნული პირველი წარმატებული ნაბიჯი იყო ქვეყანაში არბიტრაჟის განვითარებისათვის.

1997 წლის კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ წარმოადგენდა საარბიტრაჟო სფეროს რეგულირების მოძველებულ და არაეფექტურ საშუალებას, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა საერთაშორისო მოთხოვნებს. იგი ძირითადად გათვლილი იყო ადგილობრივი დავების მოგვარებაზე და მასში არ იყო მკაფიოდ განმარტებული საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლება დაედგინა საკუთარი იურისდიქცია და ასევე, დებულებები, თუ როგორ უნდა მომხდარიყო საერთაშორისო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება საქართველოს სასამართლოებში.

დღესდღეობით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს 2009 წელს მიღებულ „არბიტრაჟის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანას, რაც მიმართულია საქართველოში არბიტრაჟის მოქნილობისა და ეფექტურობის გაზრდისკენ.

ამასთანავე, აღსანიშნავია, საქართველოში ძლიერი რეგიონალური საარბიტრაჟო ინსტიტუტის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც მხარეებისთვის

<sup>1</sup> “ზოგადად, ტრანსნაციონალურ დავებში ბიზნესში კვლავაც შეინიშნება არბიტრაჟისადმი, სასამართლოსთან შედარებით უპირატესობის მინიჭების ტენდენცია.” – PriceWaterHouseCoopers (PWC) 2013 International Arbitration Survey “CORPORATE CHOICES IN INTERNATIONAL ARBITRATION – INDUSTRY PERSPECTIVES”. გვ.4, ელექტრონული ვერსია იხილეთ PriceWaterHouseCoopers-ის ოფიციალურ ვებ გვერდზე <<http://www.pwc.com/arbitrationstudy>> (07.08.2014).

გეოგრაფიულად და ფინანსურად უფრო მოსახერხებელი იქნება სხვა საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტებთან შედარებით.<sup>2</sup>

ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ მხარეები ძირითადად ირჩევენ ინსტიტუციონალურ არბიტრაჟს და არა “ad hoc”-ს<sup>3</sup>, რადგან იგი უფრო სანდოა და მხარეებს აქვთ საშუალება წინასწარ განსაზღვრონ არბიტრაჟის მიახლოებითი ხარჯები. 2008 წლის PWC-ის კვლევის მიხედვით, სახელმწიფოების უპირატესობას ანიჭებენ ინსტიტუციონალურ არბიტრაჟს. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ იმ საარბიტრაჟო დავების 67%, რომელშიც ჩართულია სახელმწიფო ან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანია, განიხილება ინსტიტუციონალურ არბიტრაჟში.<sup>4</sup>

ყოველივე ამის ფონზე, როდესაც საქართველოს სახელმწიფო ცდილობს, რომ ხელი შეუწყოს არბიტრაჟის განვითარებას და ამასთანავე, ბიზნეს სექტორში დიდია არბიტრაჟის მოთხოვნა, აუცილებელია, საქართველოში შეიქმნას საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტი, რომელიც იქნება დავების მოგვარების ეფექტური და სანდო ალტერნატიული საშუალება.

გამომდინარე აქედან, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ (შემდგომში „პალატა“) დაისახა მიზნად საარბიტრაჟო ინსტიტუტის დაფუძნება, რათა მომხდარიყო ქვეყანაში და მთელი რეგიონის მასშტაბით დავების მოგვარების დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სანდო ალტერნატიული მექანიზმების დანერგვა და ამასთანავე, პალატაში არსებული არაეფექტური არბიტრაჟის მოდერნიზაცია.

პალატის მიერ შემუშავებული იქნა საარბიტრაჟო ინსტიტუტის შექმნის კონცეფცია. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო თანხების მოსაზიდად აღნიშნული კონცეფცია წარედგინათ საქართველოში მოქმედ თითქმის ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას და შესაბამისს სახელმწიფო ორგანოებს.

კონცეფციის გაცნობის შედეგად, „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველომ“ გამოთქვა სურვილი ეთანამშრომლა პალატასთან რეგიონალური საარბიტრაჟო ინსტიტუტის ჩამოყალიბების პროექტთან დაკავშირებით. შესაბამისად, მათ მიერ საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს დაფინანსებით განხორციელებული პროექტის „საქართველოში რეგიონალური არბიტრაჟის განვითარების ხელშეწყობის“ ფარგლებში მოხდა საარბიტრაჟო ცენტრის

<sup>2</sup> “გამოკითხულთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა მხარს უჭერს რეგიონალური საარბიტრაჟო ინსტიტუტების განვითარებას, რომლებიც იქნებიან უფრო ახლოს დავის წარმოშობის ადგილთან და ასევე შეიძლება იყვნენ უფრო იაფი, ვიდრე სხვა საერთაშორისოდ აღიარებული ინსტიტუტები” PWC SURVEY INTERNATIONAL ARBITRATION: CORPORATE ATTITUDES AND PRACTICES 2006, გვ.2 ელექტრონული ვერსია იხილეთ PriceWaterHouseCoopers-ის ოფიციალურ ვებ გვერდზე <[http://www.pwc.be/en\\_BE/be/publications/ia-study-pwc-06.pdf](http://www.pwc.be/en_BE/be/publications/ia-study-pwc-06.pdf)> (07.08.2014).

<sup>3</sup> იქვე, გვ. 15.

<sup>4</sup> PWC SURVEY INTERNATIONAL ARBITRATION: CORPORATE ATTITUDES AND PRACTICES 2008, გვ.4, ელექტრონული ვერსია იხილეთ PriceWaterHouseCoopers-ის ოფიციალურ ვებ გვერდზე <[http://www.pwc.co.uk/en\\_UK/uk/assets/pdf/pwc-international-arbitration-2008.pdf](http://www.pwc.co.uk/en_UK/uk/assets/pdf/pwc-international-arbitration-2008.pdf)> (07.08.2014).

ჩამოყალიბებისათვის წინასწარი გეგმის დასახვა, რომელიც ითვალისწინებდა სამ ძირითად კომპონენტს:

- I. **სამუშაო ვიზიტს საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტში**, შესაბამისი გამოცდილების გაზიარების მიზნით;
- II. **უცხოელი ექსპერტის ჩართვას**, პროექტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
- III. **საერთაშორისო კონფერენციის გამართვას**, არბიტრაჟის სფეროში საერთაშორისო და ადგილობრივ ასპარეზზე მოღვაწე პრაქტიკოსებისათვის პროექტის მიმდინარეობისა და მიმართულებების გაცნობის მიზნით.

პროექტის განხორციელებაში მონაწილე სამუშაო ჯგუფების მიერ განეული ძალისხმევის შედეგად, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი ჩამოყალიბდა საერთაშორისო დონის საარბიტრაჟო ინსტიტუტად, რომელიც აკმაყოფილებს ყველა საერთაშორისო მოთხოვნას და ამასთანავე, მორგებულია ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის სპეციფიკაზე. საერთაშორისო ექსპერტებისა და პრაქტიკოსების ჩართულობის შედეგად ის ეფუძნება როგორც მრავალწლიან საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკას, ასევე იმ სიახლეებს, რომლებიც აუცილებელია საარბიტრაჟო ინსტიტუტის გამართული და ეფექტური მუშაობისათვის. საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი მზად არის მიიღოს და განიხილოს საარბიტრაჟო დავები.

წინამდებარე ანგარიში ასახავს საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის ჩამოყალიბების პროცესში განხორციელებულ მოქმედებებს **(2)**, ცენტრის დაფუძნებისას არჩეულ მიდგომებს და მისი საარბიტრაჟო წესებით დანერგილ სიახლეებს **(3)**. ანგარიშში ასევე ახსნილია საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის უპირატესობები **(4)**.

## 2. პროექტი - საქართველოში საერთაშორისო (რეგიონალური) საარბიტრაჟო ინსტიტუტის ჩამოყალიბების შესახებ

პალატის მიერ ინიცირებული პროექტი - საქართველოში საერთაშორისო (რეგიონალური) საარბიტრაჟო ინსტიტუტის ჩამოყალიბების შესახებ - გამომდინარეობს მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციიდან, კერძოდ, დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების განვითარებიდან.<sup>5</sup>

პალატის ინიციატივის მთავარი არსი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის შექმნაში მდგომარეობდა, რომლის მთავარ მიმართულებათაგანი რეგიონალურ საარბიტრაჟო ცენტრად ფორმირებას წარმოადგენს.

პროექტის კონცეფციის შემუშავებისას პალატის უმნიშვნელოვანეს მოტივაციას საერთაშორისო ტენდენციები წარმოადგენდა. საერთაშორისო დონეზე განხორციელებული კვლევების მონაცემებით, ბოლო წლებში საგრძნობლად მომატებულია რეგიონალური საარბიტრაჟო ცენტრების მიერ საერთაშორისო ტრანზაქციებიდან გამომდინარე დავების გადაწყვეტა. თუ საერთაშორისო გარიგებებიდან გამომდინარე დავების გადაწყვეტის უდიდესი ნაწილი ათწლეულების მანძილზე მოდიოდა დიდი გამოცდილების მქონე საერთაშორისო არბიტრაჟებზე, ახალი მონაცემების შესაბამისად, ბიზნესი უფრო და უფრო ხშირად ირჩევს რეგიონალურ საარბიტრაჟო ინსტიტუტებს. ასეთი ტენდენციის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს ხარჯთა შემცირება წარმოადგენს და ამავე დროს, მაღალკვალიფიციური რეგიონალური საარბიტრაჟო ინსტიტუტებისადმი ნდობის ამაღლება, მათი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობიდან გამომდინარე.<sup>6</sup> ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო საქართველოში არბიტრაჟის სფეროში არსებული მდგომარეობა, წარსული მაგალითები და გამოცდილება.

### 2.1. საარბიტრაჟო ცენტრის ფორმირებაზე მომუშავე ჯგუფი

საქართველოში საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტის შექმნის პროექტის მრავლისმომცველობიდან გამომდინარე, პალატამ აუცილებლად მიიჩნია სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომლის მთავარი ამოცანა საარბიტრაჟო ინსტიტუტის

<sup>5</sup> „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 3 (2) „ნ“.

<sup>6</sup> ქვინ მერის უნივერსიტეტისა და White & Case ერთობლივი გამოცემა: 2010 International Arbitration Survey: Choices in International Arbitration, გვ. 22, ელექტრონული ვერსია იხილეთ White & Case-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

[http://www.whitecase.com/files/upload/fileRepository/2010International\\_Arbitration\\_Survey\\_Choices\\_in\\_International\\_Arbitration.pdf](http://www.whitecase.com/files/upload/fileRepository/2010International_Arbitration_Survey_Choices_in_International_Arbitration.pdf) > (07.08.2014)



სადამფუძნებლო და ინსტიტუციონალური ფორმირებასთან დაკავშირებული დოკუმენტების მომზადება წარმოადგენდა.

**საარბიტრაჟო ინსტიტუტის ფორმირებაზე მომუშავე ჯგუფის წევრები:**

**მარიამ გოცირიძე**

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**სალომე იობიძე**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

**დავით მოლოდინი**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

**ალექსანდრე წულაძე**

საქართველოს უზენაესი სასამართლო

**გია გვილავა**

საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო

**სოფიო ტყემალაძე**

EWMI/JILEP

**გიორგი ნარმანია**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

**ირაკლი კორძახია**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრი

**არჩილ გიორგაძე**

ICC Georgia საარბიტრაჟო კომიტეტი

**ბექა ინჯია**

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა

აუცილებელი იყო სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შესულიყო როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლები, რათა საარბიტრაჟო ცენტრის ფორმირებისას მაქსიმალურად ყოფილიყო დაბალანსებული როგორც სახელმწიფოს, ასევე ბიზნესის შეხედულებები.

სამუშაო ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ წარმომადგენლები საქართველოს იუსტიციის, ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებიდან, უზენაესი სასამართლოდან, არასამთავრო ორგანიზაციებიდან: საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, EWMI/JILEP და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ასევე, სხვადასხვა კერძო დაწესებულებებიდან.

სამუშაო ჯგუფი მუშაობდა ინსტიტუციონალური საკითხების გადაწყვეტაზე. თავიდანვე, მიზნად იქნა დასახული საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება და ამავე დროს, ქართული რეალობის გათვალისწინება. საარბიტრაჟო ცენტრის ფორმირებაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის მთავარი ორი ამოცანა მოიცავდა საარბიტრაჟო ცენტრის სამართლებრივი ფორმისა და მისი სტრუქტურული მოწყობის საკითხების გადაჭრას.

საარბიტრაჟო ცენტრის სტრუქტურის ფორმირებისას, ძირითადი აქცენტი გაკეთდა საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტების პრაქტიკაზე და გათვალისწინებული იქნა საერთაშორისო გამოცდილება და თანამედროვე მიდგომები არბიტრაჟის სფეროში.

მუშაობის შედეგად, მომზადდა საარბიტრაჟო ცენტრის წესდება და სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. საარბიტრაჟო ცენტრის წესდებაში განწერილია ინსტიტუტის ორგანოები და მათი მოქმედების ფარგლები.

პარალელურად, ამ ჯგუფის რამოდენიმე წევრი მუშაობდა საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესების პირველ სამუშაო ვერსიაზე.

პირველადი ვერსიის შექმნის პროცესში მხედველობაში იქნა მიღებულ შემდეგი საარბიტრაჟო ინსტიტუტების გამოცდილება და მათი საარბიტრაჟო წესები: საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო (ICC ICA), სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტი (SCC),

ნიდერლანდების საარბიტრაჟო ინსტიტუტი (NAI), ვენის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი (VIAC) და სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი (SIAC). ამასთანავე, გათვალისწინებული იქნა საქართველოში არსებული პრაქტიკაც.

## **2.2. სამუშაო ვიზიტი ნიდერლანდების სამეფოში**

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრს დაეკმაყოფილებინა საერთაშორისო მოთხოვნები, საჭირო იყო საერთაშორისო პრაქტიკის საფუძვლიანი შესწავლა და მისი დანერგვა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ განხორციელებული პროექტის – „საქართველოში რეგიონალური არბიტრაჟის განვითარების ხელშეწყობის“ ერთ-ერთი კომპონენტი, სწორედ, მსოფლიო წამყვან საარბიტრაჟო ინსტიტუტებში სამუშაო ვიზიტს მოიცავდა.

პალატისა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ერთობლივი ძალისხმევით დაიგეგმა ვიზიტი ჰააგაში მდებარე მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო სასამართლოში (PCA) და როტერდამში - ნიდერლანდების საარბიტრაჟო ინსტიტუტში (NAI). საქმიან ვიზიტში მონაწილეობა მიიღო საარბიტრაჟო ინსტიტუტის ფორმირებაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის რამდენიმე წევრმა. ჯგუფის წევრები პირადად გაეცნენ ამ ინსტიტუტების სტრუქტურებს და მათი თითოეული ორგანოს მუშაობის სრულ პროცესს. ამასთანავე, ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრები, რომელსაც სამუშაო ჯგუფის წევრებმა მიიღეს მნიშვნელოვანი რეკომენდაციები და წინადადებები საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის ფორმირებასთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს, ასევე განხილულ იქნა სამომავლო ურთიერთანამშრომლობის პერსპექტივები.

## **2.3. ექსპერტის ჩართვა პროექტში**

„საქართველოში რეგიონალური არბიტრაჟის განვითარების ხელშეწყობის“ პროექტის ფარგლებში, ასევე, მოხდა საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის ფორმირების პროცესში საერთაშორისო ექსპერტის - ბრუქს დეილის, ჩართვა. ბრუქს დეილი არის ჰააგის მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს გენერალური მდივნის მოადგილე, რომელსაც აქვს არბიტრაჟის სფეროში მრავალწლიანი გამოცდილება და ამ დარგში ერთ-ერთ წამყვან სპეციალისტად ითვლება.

მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის სტრუქტურის შედგენაში. მისი ჩართულობა გარანტი იყო იმისა, რომ



საარბიტრაჟო ცენტრი ჩამოყალიბდებოდა საერთაშორისო დონის დავების მოგვარების ალტერნატიულ მექანიზმების ინსტიტუტად და მასში დაინერგებოდა ის თანამედროვე მიდგომები, რომელიც ამჟამად მიღებულია მსოფლიო მასშტაბით.

## **2.4. თბილისის საერთაშორისო არბიტრაჟის კონფერენცია**

„საქართველოში რეგიონალური არბიტრაჟის ხელშეწყობის“ პროექტი ასევე ითვალისწინებდა თბილისში საერთაშორისო საარბიტრაჟო კონფერენციის ჩატარებას. ამ კონფერენციის მიზანი იყო არბიტრაჟის სფეროში საერთაშორისო და ადგილობრივ ასპარეზზე მოღვაწე პრაქტიკოსებისთვის ცენტრის ფორმირების პროცესის მიმდინარეობისა და ძირითადი მიმართულებების გაცნობა და მათგან რეკომენდაციების მიღება.

შესაბამისად, 2014 წლის 11 მარტს, თბილისში გაიმართა საერთაშორისო საარბიტრაჟო კონფერენცია, რომლის პირველი ნაწილი მიეძღვნა საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის პრეზენტაციას და სამუშაო ჯგუფის მიერ განეული სამუშაოს შეჯამებას. კონფერენციის მეორე ნაწილი დაეთმო საარბიტრაჟო წესების პირველი სამუშაო ვერსიის განხილვას, სადაც ამ დარგში მოღვაწე საერთაშორისო ექსპერტებმა და ასევე, მონვეულმა სტუმრებმა იმსჯელეს საარბიტრაჟო წესების საბოლოო ჩამოყალიბებისთვის საჭირო მიმართულებებზე. კონფერენციის დასკვნით ნაწილში განხილული იყო საარბიტრაჟო სფეროში არსებული სხვადასხვა აქტუალური საკითხი.

მონვეული ექსპერტის, ბრუქს დეილის გარდა, კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და იურიდიული ფირმების წარმომადგენლები, მათ შორის: Dechert LLP, Shearman & Sterling LLP, White&Case, Specht Bohm, E&A Law Limited და სხვა.

საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე გადაწყდა, რომ შექმნილიყო საერთაშორისო კომისია, რომელიც დაკომპლექტებული იქნებოდა მსოფლიოში აღიარებული არბიტრებითა და არბიტრაჟის სპეციალისტებით. აღნიშნული კომისიის მიზანი იქნებოდა საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესების საბოლოო ვერსიის შემუშავება.

## **2.5. საარბიტრაჟო წესების შემუშავებელი კომისიის ფორმირება**

საარბიტრაჟო წესების საბოლოო ვერსიის შემუშავებელი საერთაშორისო კომისიის ფორმირების მიზნით და კომისიის პოტენციურ წევრებთან შესახვედრად, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის გენერალურმა მდივანმა

მონაწილეობა მიიღო კომერციული არბიტრაჟი საერთაშორისო საბჭოს (ICCA) XII კონგრესზე.

ICCA -ს საბჭოს კონგრესი წარმოადგენს არბიტრაჟის სამყაროში ყველაზე ცნობილ და დიდ ფორუმს. აქ გაიმართა მნიშვნელოვანი შეხვედრები სხვადასხვა საარბიტრაჟო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, როგორებიცაა საერთაშორისო დავების გადანაცვების ცენტრის (ICDR), საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (ICC), ვენის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრისა (VIAC) და ბაჰრეინის საარბიტრაჟო ინსტიტუტის ხელმძღვანელებთან. შეხვედრებზე განხილული იქნა სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის გეგმები.

კონგრესის ფარგლებში გამართულმა მოლაპარაკებებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა საარბიტრაჟო წესების შემუშავებელი საერთაშორისო კომისიის ფორმირებაში.

### **3. საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის დაფუძნება**

ცენტრის ფორმირებისას თავიდანვე იყო მიზნად დასახული, ქართული რეალობის გათვალისწინებით, საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება. პირველი საკითხი რაც, რეალურად ადვილად იქნა გადაჭრილი, საარბიტრაჟო ცენტრის სამართლებრივი ფორმის შერჩევა იყო. ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრა, რომ საარბიტრაჟო ცენტრი არ უნდა ყოფილიყო მოგებაზე ორიენტირებული.

საარბიტრაჟო ცენტრის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტია ორ ძირითად ფაქტორს მოიცავდა: **ცენტრის სამართლებრივი ფორმა და ცენტრის შიდა სტრუქტურული მონყოლა და მართვა.**

#### **3.1. სამართლებრივი ფორმა**

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის სამართლებრივი ფორმის შერჩევას საფუძვლად დაედო ერთი მხრივ, საერთაშორისო გამოცდილება და მეორეს მხრივ, საქართველოში არსებული მდგომარეობა, უფრო კონკრეტულად, არბიტრაჟები-სადმი ქართული ბიზნესის უნდობლობა.

საერთაშორისო პრაქტიკის მოკვლევით შესწავლილ იქნა, როგორც დასავლეთის საერთაშორისო დონეზე ცნობილი საარბიტრაჟო ინსტიტუტები, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისა და აზიაში მოქმედი რეგიონალური საარბიტრაჟო ინსტიტუტები.

უმრავლეს შემთხვევაში საერთაშორისო მასშტაბით საარბიტრაჟო ცენტრების შექმნის ორი ძირითადი მოდელი არსებობს:

### **I. ერთი შემთხვევაში:**

1. საარბიტრაჟო ინსტიტუტები იქმნებიან, როგორც პალატის შემადგენელ ორგანოებად, თუმცა სტრუქტურულად, პალატისგან დამოუკიდებლად, მაგალითად:
  - SCC - შვედეთის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტი;
  - ICC ICA - საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლო;
  - CAM - მილანის საარბიტრაჟო პალატა და სხვა.
2. სავაჭრო ან/და სამრეწველო პალატების მიერ ან მათი მონაწილეობით, მაგალითად:
  - DIS - გერმანიის საარბიტრაჟო ინსტიტუტი;
  - NAI - ნიდერლანდების საარბიტრაჟო ინსტიტუტი;
  - VIAC - ვენის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი;
  - უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარბიტრაჟო სასამართლო და სხვა;

ან

**II. მეორე შემთხვევაში,** საარბიტრაჟო ინსტიტუტები არსებობენ დამოუკიდებლად, როგორც კერძო სამართლის სუბიექტები. ისინი თავიდან გარკვეული ორგანიზაციების მიერ გაერთიანების სახით ჩამოყალიბდნენ, ან რომელიმე ასოციაციის მიერ არიან დაარსებულნი, ასეთებია მაგალითად:

- LCIA - ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო,
- AAA/ICDR - ამერიკის არბიტრთა ასოციაციის დაავების გადანყვეტის საერთაშორისო ცენტრი,
- SIAC - სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი და სხვა.

ზემოთ მოყვანილი საარბიტრაჟო ინსტიტუტები, მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულებების დიდი ნაწილი, წარმოადგენენ კერძო სამართლის სუბიექტებს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ორიენტირებულები არ არიან მოგების მიღებაზე. საარბიტრაჟო ინსტიტუტების ასეთი ფორმით ჩამოყალიბება და არსებობა განპირობებულია არბიტრაჟისა და, საერთოდ, დაავების ალტერნატიული მექანიზმებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკით. გამომდინარე იქიდან, რომ დაავების გადანყვეტის უმთავრეს პრინციპს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს, საარბიტრაჟო

დანესებულების ბიზნეს სუბიექტად აღქმა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს აღნიშნულ პრინციპებს. მოგებაზე ორიენტირებული დანესებულების მიზანი დამფუძნებლისთვის ფინანსური სარგებლის მოტანას გულისხმობს, შესაბამისად, ამ შემთხვევაში ბიზნეს სუბიექტების ნდობა მოგებაზე ორიენტირებული საარბიტრაჟო ინსტიტუტებისადმი ყოველთვის ეჭვქვეშ დგება. ამიტომაც არის, რომ საერთაშორისო დონეზე საარბიტრაჟო ინსტიტუტები არ არიან მოგებაზე ორიენტირებულები და მათი უმთავრესი მიზანი დავების გადაწყვეტა და ასეთი მექანიზმების განვითარებაა.

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის დაფუძნებამდე, საქართველოში საერთაშორისო პრაქტიკის საწინააღმდეგო ვითარება იყო. ქვეყანაში აბსოლუტურად ყველა საარბიტრაჟო დანესებულება შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმით იყო შექმნილი. საქართველოში ასეთი პრაქტიკა ეფუძნება 1997 წლის „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონს, რომელიც 2009 წელს ახალი კანონის მიღების შედეგად გამოცხადდა ძალადაკარგულად. 1997 წლის კანონი პირდაპირ ადგენდა, რომ არბიტრაჟები უნდა შექმნილიყო შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით. კანონის ამ დანაწესმა და ასევე იმ გარემოებამ, რომ არბიტრაჟები „შპს“-ს სამართლებრივი ფორმით იქმნებოდა იურიდიული ფირმების, ბანკების ან სხვა საფინანსო დანესებულებების მიერ ქვეყანაში წარმოშვა ბიზნესის მხრიდან არბიტრაჟებისადმი განსაკუთრებული უნდობლობა. საქმე ისაა, რომ თითოეული არბიტრაჟი ასოცირდებოდა რომელიმე კონკრეტულ იურიდიულ ფირმასთან ან ბანკთან, რომლისთვის არბიტრაჟი არის ბიზნესი და მოგების მიღების საშუალება. ასეთ შემთხვევაში, კი დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვა ძალიან რთულია, ვინაიდან ყოველთვის იარსებებს ინტერესთა კონფლიქტი.

ამ გარემოების გათვალისწინებით, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის ფორმირებაზე მომუშავე ჯგუფის მიერ ცენტრის სამართლებრივ ფორმად ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმა.


### **3.2. სტრუქტურული მონყოლა**

საარბიტრაჟო ინსტიტუტის სტრუქტურული მონყოლისთვის აუცილებელი იყო ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის კანონით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება და მეორეს მხრივ, არბიტრაჟისა და მისი მეშვეობით დავის განწყვეტის თავისებურებების გათვალისწინება. ამავე დროს, საარბიტრაჟო ცენტრის სტრუქტურული მონყოლა უნდა ყოფილიყო ინსტიტუტის დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის, ასევე დავების ეფექტურად,

კვალიფიციურად და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით გადაწყვეტის გარანტია.

უმთავრესი ფაქტორი, რასაც საარბიტრაჟო ცენტრის წესდება ითვალისწინებს არის თავის საქმიანობის განხორციელებაში ცენტრის სრული დამოუკიდებლობა მისი დამფუძნებლის - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისგან. მას შემდეგ რაც პალატის მიერ მოხდა საარბიტრაჟო ცენტრის გამგეობის დამტკიცება და ცენტრის კანონით დადგენილი წესით რეგისტრაცია, ცენტრის მთავარი მმართველობითი ორგანო მხოლოდ გამგეობაა.

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის სტრუქტურული ორგანოებია გამგეობა, საარბიტრაჟო საბჭო და სამდივნო. საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის დამოუკიდებლობა პალატისგან, ასევე, მისი მმართველობითი ორგანოების ურთიერთმიმართება და მათი კავშირი საარბიტრაჟო საქმის განხილვასთან შემდეგი დიაგრამით შეიძლება იყოს ილუსტრირებული:





### 3.2.1. გამგეობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამგეობა არის საარბიტრაჟო ინსტიტუტის მთავარი მმართველობითი ორგანო, იგი შედგება მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 11 წევრისგან, რომელთაგან ერთი გამგეობის თავმჯდომარეა. გამომდინარე იქიდან, რომ გამგეობა არის ინსტიტუტის მუდმივმოქმედი ორგანო, რომელზედაც დაფუძნებულია ცენტრის დამოუკიდებლობა მისი დამფუძნებლისგან, გამგეობის წევრობა დამყარებულია ე.წ. „როტაციის პრინციპზე“, რაც გულისხმობს გამგეობის წევრთა ცვლილებას დროის სხვადასხვა მონაკვეთში მათი უფლებამოსილების ვადის გათვალისწინებით.

გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს საარბიტრაჟო ცენტრის წესდებით ზუსტად განსაზღვრული საკითხების შესახებ. იგი უზრუნველყოფს საარბიტრაჟო ცენტრის კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ გამგეობა **არ ერევა** საარბიტრაჟო განხილვაში და საარბიტრაჟო დავების მოგვარებასთან **არანაირი** კავშირი არ გააჩნია.

გამგეობის ჰყავს ერთი თანამდებობრივი ე.წ. „*ex officio*“ წევრი. კერძოდ, როგორც ცენტრის დამფუძნებელს - პალატას გამგეობაში ჰყავს მუდმივი წევრი მისი პრეზიდენტის სახით.

დღეის მდგომარეობით, გამგეობაში არის 5 სრული წევრი (ე.წ. „*ex officio*“ წევრის ჩათვლით) და ერთი საპატიო წევრი. გამგეობის წევრები არიან სხვადასხვა სფეროში მოღვაწე გამოცდილი ბიზნესმენები და იურისტები.

გამგეობის საპატიო წევრს გააჩნია ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით რეკომენდაციებისა და რჩევების წარმოდგენის უფლებამოსილება. ცენტრის გამგეობის საპატიო წევრს დიდი წვლილი მიუძღვის საარბიტრაჟო ინსტიტუტის საარბიტრაჟო წესების შემუშავებაში.

### 3.2.2. საარბიტრაჟო საბჭო

#### საარბიტრაჟო საბჭოს წევრები:

#### **ევა კალნინა**

ლევინ-კაუფმან-კოლერი - უფროსი იურისტი (ჟენევა)

#### **მარია კოსტიცკა**

ვინსტონ & სტრონი - Of Counsel (პარიზი, ვაშინგტონი)

#### **ირაკლი კორძახია**

სპს „კორძახია, ჟღენტი“ - პარტნიორი (თბილისი)

დავების გადაწყვეტის პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია საარბიტრაჟო საბჭოს. დავების საბოლოო გადაწყვეტამდე საარბიტრაჟო წესებით გათვალისწინებული ფუნქციები გადანაწილებულია საარბიტრაჟო საბჭოსა და სამდივნოს შორის. საბჭოს ფუნქციაა, უზრუნველყოს საარბიტრაჟო განხილვის ეფექტური წარმოება და მისი შესაბამისობა ცენტრის საარბიტრაჟო წესებთან. საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს მისთვის საარბიტრაჟო ცენტრის წესდებით და საარბიტრაჟო წესებით მინიჭებული ისეთი საკითხების შესახებ, როგორცაა საარბიტრაჟო წესებით განსაზღვრულ



### **ნიკოლა მარიანი**

დეკერტი - პარტნიორი (თბილისი)

### **თეა მეგენიშვილი**

შპრეხტ ბომი - იურისტი (ვენა)

### **სოფიო ტყემალაძე**

JILEP ADR მრჩეველი (თბილისი)

შემთხვევებში ცენტრის იურისდიქციის საკითხის გადაწყვეტა, არბიტრების დანიშვნა-აცილება, საარბიტრაჟო საქმეების გაერთიანება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადახედვა და სხვა.

საბჭოს წევრები პასუხისმგებელი არიან საარბიტრაჟო წარმოების პროცესში წარმოშობილი საკითხების გადაწყვეტაზე, შესაბამისად აუცილებელია, რომ საბჭოს წევრს ჰქონდეს საარბიტრაჟო სფეროს სიღმისეული ცოდნა და მუშაობის გამოცდილება.

ცენტრის საარბიტრაჟო საბჭო შედგენილია ქართველი და უცხოელი იურისტებით, რომელთა საქმიანობის ძირითად მიმართულებას არბიტრაჟი წარმოადგენს. ამჟამად, საბჭო შედგება 6 წევრისგან, რომელთაგან სამი ქართველი და სამი უცხოელია, ისინი მუშაობენ საქართველოში და ასევე, საერთაშორისო დონეზე ცნობილ იურიდიულ ფირმებში. საარბიტრაჟო საბჭოს წევრთა შემადგენლობა სრულად ფარავს ცენტრის სამ ძირითად სამუშაო ენას: ქართულს, ინგლისურსა და რუსულს. საბჭოს ამგვარი შემადგენლობა უზრუნველყოფს დაბალანსებულ მიდგომას მომავალში გადასაწყვეტი საკითხების მიმართ. აქვე გასათვალისწინებელია ის, რომ საბჭოს დაკომპლექტება მხოლოდ ქართველი ან მხოლოდ უცხოელი ექსპერტებით არ იქნებოდა გამართლებული საარბიტრაჟო საქმეების სპეციფიკისა და განსახილველი ენის ფაქტორების გათვალისწინებით.

### **3.2.3. სამდივნო**

საარბიტრაჟო ცენტრში წარმოდგენილი საარბიტრაჟო საქმეების უშუალო ადმინისტრირებასა და საარბიტრაჟო პროცესების ორგანიზებას ახორციელებს სამდივნო. სამდივნო ჩართულია ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობაში და თავიანთი ფუნქციების განხორციელებაში ხელს უწყობს როგორც საარბიტრაჟო საბჭოს, ასევე საარბიტრაჟო ტრიბუნალს. განხილვის დროულად წარმართვის მიზნით სამდივნო ახორციელებს კომუნიკაციას საარბიტრაჟო განხილვის ყველა მონაწილესთან. სამდივნოს უშუალო შეხება აქვს ცენტრში შემოსულ ყველა საქმესთან, ასევე ცენტრის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებთან.

სამდივნოს ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი, რომელიც სამდივნოს მეშვეობით უძღვება ცენტრს და წარმოადგენს ცენტრის უმაღლესი თანამდებობის პირს.

სამდივნოს შემადგენლობაში შედიან კვალიფიციური იურისტები, რომლებიც პასუხისმგებლები და ჩართულები არიან დავის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე, რათა ხელი შეუწყონ და გააადვილონ დავის გადაწყვეტა.

სამდივნოს თანამშრომლების შერჩევა მოხდა რამდენიმე ეტაპიანი კონკურსის შედეგად, რომლის შედეგად არჩეულ იქნენ ისეთი კანდიდატურები, რომელთაც განათლება მიღებული აქვთ ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში და გააჩნიათ საერთაშორისო არბიტრაჟის დარგში მუშაობის გამოცდილება.

### **3.3. საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესები**

ნებისმიერი საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტის ფუნქციონირებისათვის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტებს და მხარეთა ინტერესებზე მორგებული საარბიტრაჟო წესების არსებობა. ეს პირობა განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია საქართველოში, რადგან ამ დრომდე საქართველოში არსებული არც ერთი საარბიტრაჟო დაწესებულება ამ სტანდარტებს არ აკმაყოფილებდა. უფრო მეტიც, საქართველოში არ არსებობდა საარბიტრაჟო ინსტიტუტი, რომელსაც გააჩნდა საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო განხილვის ჩატარებისათვის საჭირო ბაზა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პალატის ინიციატივით შექმნილი საარბიტრაჟო ცენტრის ფორმირებაზე მომუშავე ჯგუფის რამოდენიმე წევრის მიერ შემუშავდა საარბიტრაჟო წესების პირველი სამუშაო ვერსია, რომელიც საჭიროებდა საბოლოო გადახედვასა და დამუშავებას.

#### **3.3.1. საარბიტრაჟო წესების საბოლოო ვერსიის შემუშავებელი საერთაშორისო კომისია**

**საარბიტრაჟო წესების საბოლოო ვერსიის შემუშავებელი საერთაშორისო კომისიის წევრები არიან:**

**იას ბენიფატეში (თავმჯდომარე)**

შირმან & სტერლინგი, პარტნიორი (პარიზი)

**პროფესორი გაბრიელ კაუფმან-კოლფერი**

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის ფორმირების პროცესში ჩართული უცხოელი ექსპერტის და ასევე, საერთაშორისო არბიტრაჟის თბილისის კონფერენციაზე მონაწილე პრაქტიკოსების რეკომენდაცია იყო, რომ საარბიტრაჟო წესების საბოლოო ვერსიის შემუშავებისათვის შექმნილიყო საერთაშორისო კომისია. ამ კომისიის პოტენციურ წევრებთან შეხვედრები და მოლაპარაკებები ცენტრის გენერალურმა მდივანმა ICCA-ს საერთაშორისო კონგრესზე გამართა. წევრებისგან თანხმობის მიღების შემდეგ, კომისიის

ლევინ-კაუფმან-კოლერი - პარტნიორი;  
ჟენევის უნივერსიტეტი (ჟენევა)

### **ბრუქს დელი**

პააგის მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო  
სასამართლო, გენერალური მდივანის  
მოადგილე და უფროსი იურისტი (პააგა)

### **ჩარლზ ნაირაკი**

უაით & ქეისი, პარტნიორი, (პარიზი)

### **ტიმოთი ლინდსი**

დეკერტი, პარტნიორი (ლონდონი)

### **ანა სტანიჩი**

იდეი ლო ლიმიტედი, პარტნიორი  
(ლონდონი)

### **ნიკოლა მარიანი**

დეკერტი, პარტნიორი (თბილისი)

### **კისტენ ოდინსკი**

უაით & ქეისი, იურისტი (პარიზი)

### **ქეთევან ბეთანელი**

შირმან & სტერლინგი, იურისტი (პარიზი)

### **მარიამ გოცირიძე**

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

### **ბექა ინჯია**

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო  
პალატა (თბილისი)

შემადგენლობა საბოლოოდ განისაზღვრა 2014 წლის 25 აპრილს. შექმნილი კომისია დაკომპლექტდა საერთაშორისო დონეზე აღიარებული არბიტრებითა და სპეციალისტებით. ყოველივე ამან უზრუნველყო, ერთის მხრივ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საარბიტრაჟო წესების შემუშავება და მეორეს მხრივ, აღნიშნული ინსტიტუტის ცნობადობის გაზრდა და ნდობის ხარისხის ამაღლება.

2014 წლის 1 მაისს კომისიას ოფიციალურად გაეგზავნა საარბიტრაჟო წესების სამუშაო ტექსტი და დაიწყო საბოლოო ვერსიაზე მუშაობა.

კომისიის წევრებმა წარმოადგინეს თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები სამუშაო ტექსტთან დაკავშირებით. 2014 წლის 18 ივნისს ქ. პარიზში გაიმართა სამუშაო შეხვედრა. შეხვედრაზე განხილულ იქნა კომისიის წევრების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები და წინადადებები. ასევე, განისაზღვრა საარბიტრაჟო სფეროში არსებული კომპლექსური საკითხებისადმი საარბიტრაჟო წესებით არჩეული მიდგომები. შეხვედრაზე მუხლობრივად იყო განხილული საარბიტრაჟო წესები და კომისიის წევრებმა გამოთქვეს თავიანთი აზრი თითოეულ მუხლთან დაკავშირებით.

შეხვედრის შედეგად, კომისიის თავმჯდომარემ, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წევრთა ყველა კომენტარის გათვალისწინებით მოამზადა საარბიტრაჟო წესების კონსოლიდირებული ვერსია, რომელიც გადაეგზავნა კომისიის ყველა წევრს საბოლოო შენიშვნებისა და კომენტარებისათვის.

2014 წლის ივლისის თვეში მოხდა კომისიის წევრთა საბოლოო კომენტარების შეჯამება, რის შედეგადაც, კომისიის თავმჯდომარემ - იას ბენიფატემმა საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრთან შეთანხმებით მოამზადა საარბიტრაჟო წესების საბოლოო ტექსტი.

### **3.3.2. საარბიტრაჟო წესებით დანერგილი სიახლეები**

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი ერთადერთი საარბიტრაჟო ცენტრია საქართველოში, რომლის საარბიტრაჟო წესები აკმაყოფილებენ

საერთაშორისო სტანდარტებს და იზიარებენ თანამედროვე საერთაშორისო მიდგომებს არბიტრაჟის სფეროში. ცენტრის საარბიტრაჟო წესები სრულად უზრუნველყოფენ მხარეთა ნების გამოვლენის თავისუფლების პრინციპს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ხარჩობებში.

მხარეები უფლებამოსილები არიან შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვის ენაზე, ასევე საქმის განხილვის ადგილზე და დავაზე გამოსაყენებელ მატერიალურ სამართალზე.

მხარეების ან ცენტრის საარბიტრაჟო საბჭოს მიერ დანიშნული ყველა არბიტრი, ვალდებულია წარმოუდგინოს მხარეებს, მათ წარმომადგენლებს და ცენტრის სამდივნოს განცხადება დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ. ცენტრი ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს არბიტრთა მაქსიმალური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მისაღწევად.

ცენტრის ხარჯთა ცხრილი საშუალებას აძლევს მხარეებს წინასწარ გათვალონ საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები.

საარბიტრაჟო წესებით უამრავი სიახლე დამკვიდრდა საქართველოში, მაგალითად:

- ❖ საარბიტრაჟო შეთანხმების პირველადი შემოწმება - ისეთ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე მხარე აყენებს პრეტენზიას არბიტრაჟის იურისდიქციის შესახებ, პროცესის ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, ამ პრეტენზიას ტრიბუნალის შექმნამდე განიხილავს საარბიტრაჟო საბჭო. ამგვარი შესაძლებლობის არსებობა ხელს უწყობს პროცესის დაჩქარებას და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო დათქმა უცილოდ ბათილია - საარბიტრაჟო საბჭო საქმეს განსახილველად არ დაუშვებს, რის შედეგადაც, მხარეები დაზოგავენ დროს და ასევე არ გასწევენ ტრიბუნალის შექმნასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

- ❖ ურთიერთდაკავშირებული საარბიტრაჟო განხილვების გაერთიანება (Consolidation) და მესამე პირის ჩართვა საარბიტრაჟო განხილვაში (Joinder) - იმ შემთხვევაში, თუ ორი (ან მეტი) ურთიერთდაკავშირებული საარბიტრაჟო განხილვა მიმდინარეობს პარალელურად ან მხარე აპირებს ამგვარი საარბიტრაჟო სარჩელის წარმოდგენას, მხარეებს უფლება აქვთ საარბიტრაჟო საბჭოს (ან საარბიტრაჟო ტრიბუნალს) მიმართონ საქმეთა გაერთიანების თხოვნით. ამ შემთხვევაში მოხდება საქმეების პარალელურ რეჟიმში განხილვასთან დაკავშირებული დროისა და ხარჯების შემცირება. იგივე პრინციპითა და ლოგიკით, მხარეებს უფლება აქვთ უკვე დაწყებულ განხილვაში მოითხოვონ მესამე მხარის ჩართვა (joinder).

- ❖ საარბიტრაჟო წარმოება, რომელიც მიმდინარეობს რამოდენიმე მოსარჩელისა და/ან რამოდენიმე მოპასუხეს შორის (Multiparty Arbitration) -

ბიზნესის კომპლექსურობიდან გამომდინარე ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსარჩელედ ან/და მოპასუხედ არა ერთი, არამედ რამოდენიმე პირი გვევლინება. მსგავს სიტუაციებში მაქსიმალურად დაბალანსებული პროცესუალური უფლებებით უნდა სარგებლობდეს პროცესის თითოეული მონაწილე მხარე, ერთად და ასევე ცალ-ცალკე. საარბიტრაჟო წესებმა გაიზიარა საერთაშორისო პრაქტიკა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. წესები არა მხოლოდ აძლევს მხარეებს უფლებას აირჩიონ ამგვარი საარბიტრაჟო განხილვა, არამედ, უზრუნველყოფს თითოეული მხარის ინტერესს და მათ თანასწორუფლებიანობას. ეს თავის მხრივ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადობას უწყობს ხელს. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი საარბიტრაჟო განხილვა საქართველოში არსებულ არცერთი სხვა საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ არ არის გათვალისწინებული.


❖ არბიტრთა აცილების საკითხი - არბიტრთა აცილების საკითხი ხშირად დგება პრაქტიკაში. ამ შემთხვევისათვის, საარბიტრაჟო წესები ითვალისწინებს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების ზუსტად განსაზღვრულ პროცედურას, როგორც არბიტრის დანიშვნამდე, ასევე, მისი დანიშვნის შემდეგ. არბიტრები ვალდებული არიან საარბიტრაჟო ცენტრის სამდივნოს წარმოდგინონ განცხადება დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ, რომელშიც უნდა დაასახელონ ყველა ის გარემოება, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს არბიტრის დანიშვნაზე, მათი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გათვალისწინებით. მხარეებს, ამ განცხადების გაცნობის შემდეგ, უფლება აქვთ გამოთქვან პრეტენზიები არბიტრის დანიშვნაზე. იმ შემთხვევაში, თუ აცილების საკითხი დგება უკვე დანიშნული არბიტრის მიმართ საკითხს განიხილავს საარბიტრაჟო საბჭო და არა თავად არბიტრი (ან საარბიტრაჟო ტრიბუნალი), განსხვავებით საქართველოში მოქმედ სხვა საარბიტრაჟო დაწესებულებებისა. საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის წესების შესაბამისად, აცილების საკითხს ნებისმიერ შემთხვევაში პირდაპირ განიხილავს საარბიტრაჟო საბჭო, რომელიც გადაწყვეტილება საბოლოოა. ამრიგად, მხარეები ზოგავენ დროს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში და არ უწვეთ ტრიბუნალის მიერ მიღებულ აცილების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება საარბიტრაჟო დაწესებულების შიდა ორგანოში ან სასამართლოში.

### **3.3.3. საარბიტრაჟო წესების მიხედვით საქმის განხილვის ეტაპები**

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრში საარბიტრაჟო საქმე გადის განსაზღვრულ ეტაპებს. ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაში მოცემულია მხოლოდ ზოგადი



და სტანდარტული პროცედურები. ამასთან, ყოველი კონკრეტული დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება დადგეს დამატებითი მოქმედებების განხორციელების საჭიროება.





## 4. საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის უპირატესობები

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის მთავარი ფუნქციაა კერძო ხასიათის დავების ადმინისტრირება. გარდა ამისა, ცენტრის საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე, იგი ემსახურება საქართველოსა და მთელს რეგიონში დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების (ADR) განვითარებასა და პოპულარიზაციას.

დღეს საქართველოში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის საჭიროა დავების მოგვარების ალტერნატიული მექანიზმები, რადგან მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი, ასევე მოქნილი და ეფექტური საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობაში მყოფი საარბიტრაჟო ინსტიტუტის არსებობა არის ბიზნეს სუბიექტებისთვის მათი უფლებების დაცვის გარანტი.

მსოფლიოში მრავალმა ქვეყანამ შექმნა არბიტრაჟისთვის მეგობრული გარემო და მივიჩნევთ, რომ საქართველოს აქვს დიდი პოტენციური გახდეს რეგიონში საარბიტრაჟო დავების განხილვისათვის შესაფერისი ფორუმი:

✓	საქართველოს აქვს თანამედროვე და არბიტრაჟს მორგებული საკანონმდებლო ბაზა, საარბიტრაჟო კანონმდებლობით, რომელიც დაფუძნებული „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ UNCITRAL-ის მოდელურ კანონზე.
✓	საქართველო არის „უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულების შესახებ“ ნიუ იორკის 1958 წლის კონვენციის წევრი ქვეყანა.
✓	საქართველოს აქვს თავისუფალი ეკონომიკა, კორუფციის დაბალი მაჩვენებლითა და ბიზნესის წარმოების გამარტივებული პროცედურებით.
✓	საქართველო ლოკაცია საუკეთესო რეგიონში - იგი მდებარეობს ევროპისა და აზიის გასაყარზე.
✓	საქართველოს კანონმდებლობა ნებას რთავს უცხოურ იურიდიულ ფირმებს ანარმონ საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე.
✓	საქართველოს კანონმდებლობა ნებას რთავს უცხო ქვეყნის რეზიდენტებს განახორციელონ საარბიტრაჟო საქმიანობისთვის საჭირო მოქმედებები საქართველოს ტერიტორიაზე სპეციალურად დადგენილი ბიუროკრატიული ბერკეტების და დამატებითი მოთხოვნების გარეშე.
✓	საქართველო წარმოადგენს ფინანსურად ეკონომიურ გარემოს; აქ სასტუმროების და რესტორნების ფასები ბევრად უფრო დაბალია ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესებს ანალოგი არა აქვს საქართველოში. უფრო მეტიც, ეს წესები

სრულად შეესაბამება მსოფლიოს მასშტაბით არბიტრაჟის თანამედროვე მიდგომებს და ითვალისწინებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. შესაბამისად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის წესებს შეუძლიათ საქართველოშივე შესთავაზონ მხარეებს დავების მოგვარების ისეთი მექანიზმი, რომლისთვისაც ბევრი აქამდე მაგალითად, ლონდონს, პარიზს ან სტოკჰოლმს მიმართავდა.

გარდა მოქნილი საარბიტრაჟო წესებისა, საარბიტრაჟო ცენტრი აღჭურვილია იმ დავის მოგვარების ნებისმიერი ალტერნატიული მექანიზმის ფარგლებში განხორციელებული განხილვისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. მხარეთა განკარგულებაშია ცენტრის შეხვედრების ოთახები საარბიტრაჟო განხილვებისათვის, მხარეთა მოლაპარაკებებისათვის, არბიტრთა თათბირებისთვის, მედიაციისთვის და ა.შ., რომლებიც შესაბამისი ტექნიკით არის აღჭურვილი.

#### **4.1. დავის განხილვის ხარჯების ეკონომიურობა**

არბიტრაჟის მიერ საქმის გადანყვეტა უფრო იაფი და ხანმოკლეა, ვიდრე სასამართლოს სამ ინსტანციაში საქმის წარმოება. საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრში საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხარჯები და ასევე, არბიტრთა ჰონორარი და ხარჯები საგრძნობლად დაბალია, სხვა საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტთან ან საერთო სასამართლოების სისტემაში საქმის განხილვასთან შედარებით. ამასთან, ცენტრის ხარჯთა ცხრილი მხარეებს საშუალებას აძლევს წინასწარ განსაზღვრონ საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საარბიტრაჟო ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები მხარეებისთვის ხელმისაწვდომია უსასყიდლოდ, რაც ასევე ემსახურება საარბიტრაჟო დავის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას.

#### **4.2. მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზე წამყვან საარბიტრაჟო ორგანიზაციებსა და სპეციალისტებთან**

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის ფორმირებაში არაერთმა საერთაშორისო დონეზე ცნობილმა ექსპერტმა მიიღო მონაწილეობა. ცენტრი, დაფუძნების შემდეგაც, განაგრძობს თანამშრომლობას საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ექსპერტებთან, საარბიტრაჟო დაწესებულებებსა და იურიდიულ ფირმებთან.

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი ასევე აწარმოებს და მუდმივად აახლებს არბიტრთა სიას. დღეის მდგომარეობით, საარბიტრაჟო ცენტრის არბიტრთა

სიაში არის ლონდონის, ჟენევის, პარიზის, ვენის საერთაშორისო იურიდიული ფირმების წამყვანი იურისტები, რომლებსაც მრავალწლიანი საარბიტრაჟო გამოცდილება აქვთ. დამატებით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები არბიტრთა სიაში ახალი კანდიდატურების დამატებისათვის. ცენტრი აქვს მოლაპარაკებები რეგიონის ქვეყნების წამყვან სპეციალისტებთან უკრაინიდან, სომხეთსა და აზერბაიჯანიდან. საარბიტრაჟო ცენტრში დავის განხილვისას მხარეებს შეუძლიათ ისარგებლონ ცენტრის არბიტრთა სიით და აირჩიონ მათი დავის ხასიათისა და სპეციფიკისათვის მაქსიმალურად მისადაგებული არბიტრები, არბიტრთა გამოცდილების, კვალიფიკაციის და ენობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

**პარტნიორი ორგანიზაციები და იურიდიული ფირმებია:**

- საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო;
- საქართველოს არბიტრთა ასოციაცია;
- ჰააგის მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო;
- უაით & ქეისი (White & Case);
- დეკერტი (Dechert LLP);
- ი&ეი ლო ლიმიტედი (E&A Law Limited);
- შირმან & სტერლინგი (Shearman & Sterling LLP);
- ლევე-კაუფმან-კოლერი (Lévy Kaufmann- Kohler).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრმა უკვე ჰპოვა გამოხმაურება საერთაშორისო ასპარეზზე. საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი Global Arbitration Review” (GAR)-ის 2015 წლის რეგიონალური საარბიტრაჟო ინსტიტუტების სიაში იქნება შეყვანილი.

GAR წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე არბიტრაჟის სფეროში ყველაზე აღიარებულ ელექტრონულ გამოცემას. აღნიშნული ორგანიზაცია ყოველწლიურად აქვეყნებს რეგიონალური საარბიტრაჟო ინსტიტუტების სიას, რომელშიც მოცემულია ამ დანესებულებების შესახებ ინფორმაცია.

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი იქნება პირველი ქართული საარბიტრაჟო ინსტიტუტი, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაცია იქნება გამოქვეყნებული „GAR“-ის 2015 წლის გამოცემაში.

